

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019“ 16-30 სექტემბერს გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სამეცნიერო და შემეცნებითი აქტივობა და, ჯამში, 300-ზე მეტი ღონისძიება ჩატარდა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ცენტრები, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, სამეცნიერო სფეროს ცნობილი ქართველი და უცხოელი წარმომადგენლები.

16 სექტემბერს თბილისის საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში განათლების რეფორმის ერთი წლის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია და „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019-ის“ გახსნის საზეიმო ცერემონია გაიმართა.

ფესტივალის საზეიმოდ გახსნეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზვიად გაბისონიამ, რომელმაც ისაუბრა, როგორც მის მნიშვნელობასა და მიზნებზე, ასევე დაგეგმილ მრავალფეროვან ღონისძიებებზე. ღონისძიებაზე გაიმართა „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებელი“ კონკურსის 7 ნომინაციაში გამარჯვებულ საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა დაჯილდოების ცერემონიაც.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019-ის“ ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

საქსეზი – მეცნიერების თვე

მეცნიერება ზარდასახისთვის

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია.



„მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალი – 2019“ უპრეცედენტოდ ხანგრძლივი გამოდგა – ის 16-დან 30 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა და მასშტაბიც უპრეცედენტოდ დიდი ჰქონდა – 300-მდე სამეცნიერო ღონისძიება გაიმართა. ფესტივალის მოიცავდა ყველა თაობას: სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სახალისო შემეცნებით აქტივობებში; ახალგაზრდა მეცნიერებს, რომელთაც თავიანთი შეკრებები ჰქონდათ და საერთაშორისო კონფერენციებს მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების მონაწილეობით. ფესტივალის თემატიკაც მრავალფეროვანი იყო: მედიცინა, ბიოლოგია, ქართველოლოგია, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ა.შ. გიორგი ელიაშვილმა სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია „მიკრობები და მათი ვირუსები: ეკოლოგია, მრავალფეროვნება და გამოყენება“, რომელშიც მონაწილეობდა 19 ქვეყნის 45 მეცნიერი. ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში გაიმართა ბერიტაშვილის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების IV საერთაშორისო ყრილობა და ივანე ბერიტაშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

უნდა აღინიშნოს, რომ შედგა ხუთი სამეცნიერო პიკნიკი მთელი ქვეყნის მასშტაბით: 17 სექტემბერს თელავში, 19 სექტემბერს



ქუთაისში, 23 სექტემბერს ბათუმში, 28 სექტემბერს ვაკის პარკში (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პიკნიკი), დაბოლოს, 30 სექტემბერს ორნაწილიანი ღონისძიება – ზუგდიდის სამეცნიერო პიკნიკი და ფესტივალის საზეიმო დახურვა რუხის ციხეში.

ვფიქრობ, რომ ფესტივალის მთავარი იდეა – მეცნიერების პოპულარიზაცია – წარმატებით განვახორციელეთ და მართლაც შევძელით, რომ სექტემბერი მეცნიერების თვედ გვექცია. აღსანიშნავია, რომ სწორედ საფესტივალოდღეების ფარგლებში, 23 სექტემბერს, ბრიუსელში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა – ხელი მოეწერა ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია EURAXESS-ში საქართველოს ოფიციალური განვრცობის დოკუმენტს – მხარეთა მიერ მზაობის გამოხატვის დეკლარაცია (Declaration of Commitment) და ხელშეკრულებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რეგიონებში პიკნიკები, ძირითადად, ადგილობრივმა უნივერსიტეტებმა გამართეს, რითაც მათ მეტი სტიმული მიეცათ სამეცნიერო მიმართულების, კვლევებისა და ინოვაციების განსავითარებლად. მეცნიერების პოპულარიზაცია არ ნიშნავს მეცნიერებისადმი მეტი ინტერესის მხოლოდ ბავშვებში გაჩენას. მნიშვნელოვანია მეცნიერ-თანამშრომლებისა და პროფესორ-მასწავლებლების ხელშეწყობაც;

ასეთ ფესტივალს პირდაპირი ეფექტი აქვთ ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება-განვითარებაზე: გვინდა, რომ კახეთმა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით შეიძინოს დამატებითი სამეცნიერო-კვლევითი ფუნქცია მეღვინეობის განვითარების მიმართულებით, ხოლო ქუთაისს, სადაც მომავალი წლიდან გაიხსნება მაღალი დონის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დიდი პოტენციალი აქვს ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით, ამიტომ ქუთაისის პიკნიკზე სიმბოლურად წარმოდგენილი იყო ელექტრომობილის ნიმუში, რადგან ამ ქალაქში, საქართველოს ისტორიაში პირველად, აშენდება ელექტრომობილების ქარხანა, რომელშიც დამზადდება ელექტრომობილები ქართული სამარკო ნიშნით მსოფლიოში აღიარებული დიზაინერის, ზვიად ციკოლიას დიზაინით.

გრანდიოზული ფესტივალის ზუგდიდში, რუხის ციხეში დახურვას თავისი დატვირთვა ჰქონდა. ეს ოკუპირებულ აფხაზეთთან მომიჯნავე ტერიტორიაა; სამეცნიერო პიკნიკში აქტიურად იყო ჩართული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ჩვენი ამოცანაა, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა, სოხუმის უნივერსიტეტთან ერთად, განავითაროს კონფლიქტური მიმართულების კვლევები.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის EURAXESS-ში განცვიანების შედეგად აფხაზ მეცნიერებსაც ვაძლევთ საშუალებას, ჩაერთონ მასშტაბურ საერთაშორისო კვლევებში, ოღონდ საქართველოს სახელით, მისი დროშის ქვეშ. პორტალზე EURAXESS GEORGIA ინფორმაცია განთავსდება ქართულ, ინგლისურ და აფხაზურ ენებზე.

ფესტივალის სლოგანი ზუსტი და მიზანმიმართული იყო: მეცნიერება წარმატებისთვის! გვინდა, რომ მეცნიერება იყოს არა ფუფუნება, არამედ ის, რა დანიშნულებაც მთელ მსოფლიოში აქვს – ყოველდღიურობა – ის, რაც ქვეყნის პროგრესსა და განვითარებას უწყობს ხელს.

„მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალი – 2019“ ესტაფეტას უკვე მომავალ ფესტივალს გადასცემს, რომელიც კიდევ უფრო გრანდიოზული და წარმატებული იქნება.

სამეცნიერო ჰიპნიკები

თელავის სამეცნიერო ჰიპნიკი და თელიანთა გეოგრაფიის პოლიგონის გამოფანა

თელავში, ისტორიული მუზეუმის ეზოში გამართული სამეცნიერო ჰიპნიკის ფარგლებში არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა: სპეციალურად მოწყობილ სივრცეებში წარმოდგენილი იყო სახალისო ქიმიური ექსპერიმენტები და ვიქტორინები სხვადასხვა ასაკის მოსწავლეათვის.



ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ღვინის გამოფანა და გაიმართა პრეზენტაცია „ღვინო – სიახლეები და პერსპექტივები“. გამოფანაზე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა სწავლის პერიოდში საკუთარი კვლევის

შედეგად წარმოებული ღვინოები, წითელ ღვინოში დავარგებული ყველი და სიახლე – ყურძნის წვენი (ბადაგი) – წარადგინეს.

ჰიპნიკზე მისული დამთვალიერებლისთვის აეროპორტ „მიმინოს“ ტერიტორიაზე სტუდენტებმა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით ავიაშოუ მოაწყვეს.

გარდა ამისა, ღონისძიების ფარგლებში ერეკლეს სასახლეში თეიმურაზ მეფის პორტრეტი გამოიფინა, რომელიც სამშობლოში 257 წლის შემდეგ დაბრუნდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ მნიშვნელობისა და ღირებულების სამეფო საგანძური დღემდე არ დაბრუნებულა. თეიმურაზ მეფის პორტრეტი ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისა და კოლექციის შემადგენელი ნაწილია.

ქუთაისის სამეცნიერო ჰიპნიკი



ქუთაისის ცენტრალურ პარკში გამართული სამეცნიერო ჰიპნიკი მრავალფეროვანი სამეცნიერო-შემეცნიერებითი აქტივობებით გამოირჩეოდა: მონაწილეებმა წარმოდგინეს რობოტექნიკისა და მოდელირებული არქეოლოგიური გათხრების სტენდები, სამედიცინო ტექნიკის ახალი ხელსაწყოები, სახალისო ვიქტორინები და სხვა ინტერაქტიული კონკურსები მონაწილეების აქტიური ჩართულობით. გარდა ამისა, გაიმართა სტუდენტების მიერ შექმნილი სამოსის დეფილე. ქართველმა დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ ფესტივალის სტუმრებისთვის საჯარო ლექცია „გზა წარმატებისკენ“ წაიკითხა. ღონისძიება გალა კონცერტით და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

ბათუმის სამეცნიერო ჰიპნიკი

მრავალფეროვნებით არც ბათუმის ჰიპნიკი ჩამოუვარდებოდა დანარჩენებს: გაიმართა სამეცნიერო შოუ, შემეცნიერებელ-გასართობი



ინტერაქტიული სამეცნიერო აქტივობები, დოკუმენტური ფილმის ჩვენება, FAB LAB BSU – სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიის პროექტებისა და კონსტრუქციების გამოფანა, სახალისო ვიქტორინები თუ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები. დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა თვითონ ჩაეტარებინა ექსპერიმენტები და მისთვისაც თვალსაჩინო გამხდარიყო ბევრი მანამდე ამოუხსნელი მოვლენა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამეცნიერო ჰიპნიკი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჰიპნიკი, ტრადიციულად, ვაკის პარკში გაიმართა. ტერიტორიაზე განთავსებულ 40-მდე კარავში საინტერესო ექსპერიმენტები, ინტერაქტიული გამოფენები და



შემეცნიერებელ-გასართობი პროგრამები წარმოადგინეს მეცნიერების პოპულარიზაციის ჯგუფებმა საქართველოდან და ევროპიდან.

ღონისძიების მთავარი სცენა დღის პირველ ნახევარში მსოფლიოში აღიარებული სამეცნიერო შოუების ანიმატორებსა და სამეცნიერო თემატიკაზე შექმნილ წარმოდგენებს დაეთმო. განათლების კოალიციის მხარდაჭერით, ასევე სასცენო წარმოდგენები გამართეს რეგიონების საჯარო სკოლის მასწავლებლებმა, ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბის მასწავლებლებმა და მათმა მოსწავლეებმა.

ჰიპნიკის ფარგლებში ვაკის მედიათეკაში მოეწყო სამეცნიერო კაფე, სადაც ილიაუნის მეცნიერებმა წაიკითხეს ლექციები.

ზუბილის სამეცნიერო ჰიპნიკი და

ფუსტივალის საგეოგრაფიის გამოფანა

საქართველო

ძალიან საინტერესო, მრავალფეროვანი და შთაბეჭდავი სანახაობა შესთავაზეს ჰიპნიკის მონაწილეებმა ზუგდიდში, რუხის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მისულ დამთვალიერებლებს, რომლებსაც შეეძლოთ ჩართულიყვნენ არაერთ სახალისო ქიმიურ თუ ფიზიკურ ექსპერიმენტში. ჰიპნიკზე მისულ მობარდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თავად მიეღოთ მონაწილეობა დაზიანებული წიგნის, ფურცლისა და ყდის რესტავრაციაში, ნახეს, როგორ იკინძება წიგნი ქართული ტექნიკით; გაეცნენ ქალაქისა და ძაფის ღებვას ძველი ტრადიციული ქართული ტექნოლოგიითა და მცენარეული საღებავების გამოყენებით.

რუხის ციხის ტერიტორიაზე „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019-ის“ დახურვის საზეიმო ცერემონია გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზვიად გაბისონიამ, პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა განათლების საკითხებში მიხეილ ჩხენკელმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლების და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ნინო წერეთელმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო

რწმუნებულის მოადგილე დავით ფარცვანიამ, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერმა ზაალ ქორთუამ, ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა მერაბ ქვარაიამ და სოხუმის უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ხონელიძემ.

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის დე ფაქტო საზღვრის სიახლოვეს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ისტორიული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტოგამოფენა მოეწყო. ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონია პოპულარული ბენდის „New One“ კონცერტით დასრულდა.

ფესტივალის დღეები

დავით IV აღმაშენებლის უნიკალური

მონეტის გამოფენა

17 სექტემბრიდან საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მსოფლიოში პირველად დავით IV აღმაშენებლის მიერ მოჭრილი და ბრიტანეთის მუზეუმში დაცული სპილენძის მონეტა გამოიფინა, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. მონეტის წარწერა ასახავს XI-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ხაზს. ავერსზე წარმოდგენილია დავით მეფის გამოსახულება ბიზანტიურ საომარში; თავზე ადგას ჯვრით დამშვენებული გვირგვინი – სტემა, მარჯვენა ხელში გრძელბუნიანი ჯვარი უჭყრია, მარცხენაში კი – ჯვრიანი სფერო. გამოსახულების თანმხლები ასომთავრული წარწერა მას მეფე დავითად მოიხსენიებს. რევერსზე, მონეტის ცენტრში, თანაბარმკლავიანი ჯვრის გამოსახულებაა, რომელსაც გარშემო ქართული ასომთავრული წარწერა გასდევს: „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“.

გამოფენა „გრიგოლ ფრანკი – 120“

25 სექტემბერს, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გრიგოლ ფერაძის 120 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გრიგოლ ფერაძის ავტოგრაფული ნუსხებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები.

გამოფენის პარალელურად საჯარო ლექციების ციკლი ჩატარდა. დამსწრე საზოგადოებას გრიგოლ ფერაძის მოღვაწეობის შესახებ მისი ძმისშვილი, რომანოზ ფერაძე ესაუბრა. გარდა ამისა, გაიმართა გამოცემის „ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ პრეზენტაცია, რომელიც გრიგოლ ფერაძის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

პრეზენტაცია „დავით კაკაბაძე

გიციგლე-ის უდიდეს გამოგონებად

შორის“

23 სექტემბერს საერთაშორისო პროექტის „ცდა მსოფლიოსთვის“ (Once Upon a Try) პრეზენტაცია, რომელიც ცნობილი ქართველი მხატვრისა და გამომგონებლის, დავით კაკაბაძის სამეცნიერო მოღვაწეობას მიეძღვნა, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. პროექტი ხელოვნების სასახლისა და მსოფლიოს უდიდესი კულტურული გაერთიანების Google Cultural Institute-ის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად განხორციელდა.

„ცდა მსოფლიოსთვის“ იმ მეცნიერულ მიღწევებსა და გამოგონებებს აერთიანებს, რომლებიც დღევანდელთა შექმნეს და რომლებიც, NASA-სა და CERN-ის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, სმიტსონის (Smithsonian National Air and Space Museum), ამბროზიანას (Ambrosiana) და სხვა მსოფლიო დონის მუზეუმებშია წარმოდგენილი.

მრგვალი მაგიდა – „საქართველო-გერ-

მანიის საგეგმარო ხიდის მომავალი“

27 სექტემბერს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მრგვალი მაგიდა – დისკუსია: „GGSB – PLUS – საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდის (Science Bridge) მომავალი, განათლების, კვლევისა და ცოდნის



ტრანსფერის გაფართოება და გაძლიერება“ გაიმართა.

ლონისძიების მიზანი გერმანიასა და საქართველოს შორის განათლებისა და კვლევების გაძლიერება – გაღრმავება და სამომავლო განვითარების პერსპექტივების განხილვა გახლდათ. ასევე, მნიშვნელოვანი იყო მკვლევართა შორის დიალოგის ხელშეწყობა და კავშირების გაძლიერება. ლონისძიებამ ფონდისა და იულისის კვლევითი ცენტრის ერთობლივ პროგრამაში მონაწილე მკვლევრებსა და საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის წარმომადგენლებს უმაჰპინძლა.

ლონისძიებაში გერმანული მხრიდან მონაწილეობდნენ: პროფესორი ჰანს შტროერი – ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ასტრიდ კინდლერ შარი – ენერჯისა და კლიმატის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ანდრო კაჭარავა – ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი, ევა პორტიუსი – კორპორაციული განვითარების მენეჯერი. ქართული მხრიდან: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი არჩილ ფრანგიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში მიხეილ ჩხენკელი, შოთა

რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე თევზაძე.

რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია მიესალმა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს, ილაპარაკა საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ურთიერთობის გაღრმავების მნიშვნელობაზე, ფონდსა და იულისის კვლევით ცენტრს შორის აქტიურ ურთიერთთანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებზე. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს ახალი ხელშეკრულება რუსთაველის ფონდსა და იულისის სამეცნიერო კვლევით ცენტრს შორის, რომლის გაფორმება 2020 წლისთვისაა დაგეგმილი.

ზვიად გაბისონიამ გერმანელი პარტნიორების წინაშე დასვა საკითხი ხელშეკრულების არეალის გაფართოებასა და გაცვლით პროექტებში ინჟინერიის ქვემომართულებების – ელექტროინჟინერიისა და ლაზერული ინჟინერიის დამატების შესახებ, ასევე ისაუბრა გამოყენებითი კვლევების კომერციალიზაციასა და მასში გერმანული მხარის აქტიურ ჩართულობაზე.